მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2023 წელი, №2

ჩოგოგ დაჭიწყოთ და განჭაჭითაჩოთ სოფლად ბიზნესი

7 აპრილს, მესტიის მუნიციპალიტეტის თვითმართველობის სააქტო დარბაზში, სახელმწიფო პროექტების შესახებ ინფორმაციის გაზიარების და მეწარმეობის შესახებ თეორიული ცოდნის ამაღლების

მიზნით, ჩატარდა სასწავლო/ტრენინგ-კურსი თემაზე „როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ სოფლად ბიზნესი“.

მიკრო გრანტების პროგრამა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა, სსიპ აწარმოე საქართველოში და სსიპ სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით შეიმუშავა.

ტრენინგს უძღვებოდნენ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენელი- თინათინ ოდილავაძე, სსიპ

,,აწარმოე საქართველოს" პროგრამის მენეჯერი გიორგი კვარაცხელია და დეპარტამენტის უფროსიანა უგულავა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები, ახალბედა მეწარმეები, ბიზნესის დაწყების მსურველები, რომელთაც საშუალება მიეცათ მიეღოთ ინდივიდუალური კონსულტაციები ბიზნეს-გეგმებთან დაკავშირებით.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მიკრო და მცირე მეწარმეებს დაიწყონ ან განავითარონ საკუთარი ბიზნესი სახელმწიფოს მხარდაჭერით

ცხელი ხაზი დეტალური ინფორმაციისაათვის: 15 25

გისურვებთ წარმატებებს.

„სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები VI“

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 30 ივლისს სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი გამართავს მორიგ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციას „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები VI“, მიძღვნილი ეთნოლოგ ციალა ჩართოლანის 90 წლის იუბილისადმი.

კონფერენცია ჩატარდება მესტიაში, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში.

კონფერენციის თემატიკა: სვანეთის ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, სვანეთის ხელოვნება, სვანეთი და კულტურული ტურიზმი, გეოლოგია, ანთროპოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, დემოგრაფია, გეოგრაფია, ეკოლოგია, ფოლკლორული ისტორია, ენათმეცნიერება, კულტუროლოგია და სხვ.

სამუშაო ენა: ქართული.

გამოგზავნილ მასალებს შეარჩევს კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი.

მნიშვნელოვანი თარიღები:

მასალების მიღების ბოლო დღე: 2023 წლის 30 ივნისი 18 საათი.

კონფერენციის ჩატარების თარიღი: 2023 წლის 30 ივლისი.

კონფერენციაში მონაწილეობის მიღებისთვის მომხსენებელმა ვორდის ფაილით უნდა გამოგზავნოს:

მოხსენების სრული სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი, სამეცნიერო ან სასწავლო დაწესებულების სახელწოდება, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა, მოხსენების ანოტაცია.

ანოტაციის გაფორმების წესი:

Microsoft Word დოკუმენტი, მაქსიმუმ 200 სიტყვა.

შრიფტის ზომა 12, სტრიქონებს შორის დაშორება - 1.5, ქართული ტექსტისთვის ფონტი -Sylfaen, ინგლისური ტექსტისთვის ფონტი - Times New Roman).

მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართზე: svanetimuseum@gmail.com

შერჩეული მოხსენებების ავტორებს პასუხი პირად ელექტრონულ ფოსტაზე ეცნობებათ 2023 წლის 15 ივლისს 18:00 საათამდე.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი

ეს უმშვენიერესი ახალგაზრდა ყველასთვის საყვარელი პოეტი ეკა კვიციანია.

სამწუხაროდ მას უეცრად თვალის რქოვანას დისტროფია, მელანომა და მწვავე უვეიტი დაუდგინდა.

6 თვიანი მკურნალობის და აქ საქართველოში ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, გადაწყდა მკურნალობის გაგრძელება თურქეთში, ანადოლუს კლინიკაში, სადაც სასწრაფოდაა გასაკეთებელი ორი ოპერაცია.

1. მელანომას ამოკვეთა -
2. რქოვანას გადანერგვა.

ოჯახმა და ახლობლებმა, ყველანაირი რესურსის ამოწურვის შემდეგ, გადაწყვიტეს საზოგადოებას მიმართონ დახმარებით, რადგან ამ დროს თითოეულ წუთს და თითოეულ ლარს უდიდესი მნიშვნელობა აქვს!

გთხოვთ ყველა დავეხმაროთ შეძლებისდაგვარად ეკას- ჩვენს ძვირფას პოეტს და სამაგალითო მოქალაქეს, რათა დროულად გამოჯანმრთელებული დაგვიბრუნდეს უკან

#GE46BG0000000498948000

საქართველოს ბანკი. მიმღები ნანა სხულუხია

#GE98TB7044845063600061

თბს ბანკი. მიმღები ნანა სხულუხია

ეკასთვის.

ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ყოველწლიურად ატარებს ინტელექტუალურ კონკურსს "ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას".

როგორც მოგეხსენებათ, გიმნაზიამ 2017 წელს პირველად მიიღო აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა, ყველა ტური გადალახა და ფინალშიც არნახული შედეგით გაიმარჯვა.ჯილდოდ კი დიდი ბედნიერება ხვდათ წილად და მონაწილეებმა იერუსალიმი მოილოცეს.

წელს მეორედ, უკვე ახალი გუნდებით, ჩავერთეთ კონკურსში. ორივე ასაკობრივ კატეგორიაში წარვადგინეთ მონაწილეები. უმცროსი ასაკობრივი ჯგუფისათვის ეს იყო პირველი თამაში.

5 აპრილს, რაიონული ტური ჩატარდა ზუგდიდში უმცროსკლასელთათვის, ხოლო მესტიაში -უფროსკლასელთათვის. ორივე გუნდმა ქულების უმაღლესი შედეგით გაიმარჯვა.

უმცროსები ექვს გუნდს ეჯიბრებოდნენ (სამეგრელოს საჯარო და სკოლა- გიმნაზიების გუნდებს)

ანა არღვლიანი (კაპიტანი)
გიორგი ფილფანი
ბარბარე ხერგიანი
ლიზი თამლიანი.

უფროსები კი ორ გუნდს (მუჟალის და ხაიშის სკოლის გუნდები)

თინათინ ჯაფარიძე (კაპიტანი)
ქეთი ხვიბლიანი
თამარ ჯაფარიძე
მარიამ კახიანი

აღსანიშნავია, მუნიციპალიტეტის მონაწილე გუნდების აქტიურობა და არაჩვეულებრივი შედეგი. მადლობა მათ კონკურსში მონაწილეობის მიღებისათვის, მეცადინეობისთვის, ბიბლიით დაინტერესება-შესწავლისათვის და საოცარი მსჯელობისთვის. სწორედ ასეთ ბავშვებზე, ასეთ ახალგაზრდებზე დგას ქვეყნის მომავალი.

სკოლა- გიმნაზიის გამარჯვებულ გუნდებს მოუწევთ ზონალური ტური, ნახევარფინალი და ფინალი-უკვე სამების ახალგაზრდული ცენტრის დიდ დარბაზში, თბილისში.

წარმატებას ვუსურვებთ ჩვენს საამაყო მოსწავლეებს,მათ ხელმძღვანელს, სჯულის მასწავლებელს, მაგდალინა გოგოლაძეს.

ეს გამარჯვება არ ეკუთვნის მხოლოდ სკოლას, ეს რაიონის წარმატებაცაა.

უფალმა ინებოს,ფინალშიც გავიხაროთ მათი წარმატებით.

ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელობაში, იმ ფონზე,რომელშიც მომავალ თაობას უწევს არსებობა,ბიბლიის შესწავლა, გათავისება, გააზრება, მისი მადლი აუცილებლად დათესს კეთილ მარცვალს,რაც მომავალი თაობის ცნობიერებაში აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს სიკეთისას, სიყვარულისას, რწმენისას.

სულიერებას აუცილებლად სჭირდება საზრდო, მსგავსი კონკურსები კი სწორედ,რომ ამას ემსახურება.

მადლობას ვუხდით ყველას, ვისაც მცირედი წვლილი მიუძღვის ჩვენი სკოლის ამ დიდ წარმატებაში.

წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მესტიის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია

პოეზია

ქეთი გოშთელიანი

ქადრაკი

საკუთარ თავთან ვთამაშობ ქადრაკს,
იღვიძებს ჟინი მებრძოლი ძალის,
ვუწესებ საზღვრებს ქაოტურ ფიქრებს,
რომ აწყდებიან, კედლებზე დაფის.
მეფის სიდინჯე მითოკავს გრძნობებს,
დედოფლის სრბოლას არ აქვს სამზღვარი,
ყველა ფიგურა, თავის თავს ეძებს,
რომ გადაკვეთოს სიკვდილის ზღვარი.
წამზომი ირგებს, დროის მანტიას,
ხან ყაიმია, ხანაც ვმარცხდები,
ბრძოლას, მოგებულს გონების ველზე,
ახლავს ტრიუმფი გამარჯვებების.
საკუთარ თავთან, ვთამაშობ ქადრაკს,
ზოგჯერ ვიმარჯვებ, ზოგჯერ ვმარცხდები,
თუმცა, არასდროს არ ყრიან ფარ-ხმალს
ქალები, ჩუმი ამორძალები.
პოეზიის ლაბირინთი
ლექსებს მივენდე და სადღაც გამიყოლეს,
სადღაც, მზესთან ახლოს,
რითმებს შევეხიზნე ცასთან მიმაახლეს
მწირი, ბოგანო,
ზვრები სტრიქონების დიდხანს უნდა „ვლეწო“,
ხან ვსხლა, ხან ვუწამლო,
სხვა, ვერაფერმა დამიამა გული სააქაოს.
ლექსებს შეუძლიათ ფრთებზე შეგისვას და
მსწრაფლად გაგაქანოს,
ნაზად მოხმიანე მუზის უნატიფეს
გრძნობებს გაზიაროს,
ამ დახუთულ სულში პოეზიის ქარმა,
ქროლვით დაუაროს,
დროის ცხელი სუნთქვით ამწვარ ფილტვის
კედელებს წვა რომ დაუამოს.
მივდევ, პოეზიის უცხო ლაბირინთებს,
ჩუმად ვხეტიალობ,
ხანაც გულის ქნარზე მწყობრად აჟღერებულ
სტრიქონებს ვდარაჯობ,
რამდენ სულის სარგოს,სიბრძნეს
სანეტაროს,
ვპოვებ საზიაროს,
უცხო ბილიკებო! თითქოს უცნობებო,
მაინც ვთქვენიანობ.
ლექსებს მივენდე და სადღაც გამიყოლეს,
ვსტუმრობ სხვა სამყაროს,
სტროფის პწკარედების სიტვაკაზმულებში,
რითმა ათინათობს,
რა შეუძლიათო ლექსებს მეკითხებით?!
უნდა გიპასუხოთ!
სულის ფიორებში, ჟანგბადს მიბევრებს,
რომ ცაში მანავარდოს,
სხვა ვერაფერმა დამიამა გული,
სააქაოს.

ოსმან არღვლიანი

ხოშა სუმა ჯაჭვლიან

ჯვინალდ ცხემარს არდა მარე,
ხოშა სუმა – სუმაშერე,
ლიმხეღვაჟშ ლას ჟილგმარე,
ხანჯარ ხაბდა ქალგშერე.
ნაკლათხი ლას – ჩხარა კამინ,
გუგუფ-ბარჯ ხად ქალგმშარე!
ივალადეღ, დეაშა მავინს,
დაბ-ლარე ხად ქალგმშავე.
ჯამშოშ ჯანარს ხეტოლალდა,
ჯოდიათე თევშ ხასდინა,
ლგცმერმათე ხეტულალდა,
კგლთხი ჰერს ჩის ქახასმინა.
რიყხენ ანჯიდ ხოშა დოლებ,
სემი ეხფას – ლექვრემ შირა,
ქაი ქ'ანსად ნაკვშარ, მოლე
იფჟი ბაჩარ ჩ'ოდფიშირა.
მეგრე ბერეჯს, თაკვიშ გოვარდ
, ქა მეჯრაქა იჭვენიდა.
გვიდამ შვანქა, ეჩა გოვარ,
ნოთაუ, დარმოშ იწვენიდა!
ჰეცერს ლგმარდხ მებგრგალა,
ეჯარშ ვარგარს თხვიმ ახდვენახ,
მებგრგალას ქა'ხბგრგალა,
ჩუნაკურსინ – შივშ ესყენახ.
ფიშრობარჟი, ჩვეინხენჟი
მამფუა ხარშვს იჟუპიდა,
ჟეღარს ხაბდა ნინჩვარს, ეჯჟი,
კლაჭ-მგკილის – განთე შიდა.
დარმოშ არდა სუმაშ მენწირ,
დარ ხოსრინა ჯამშაისგა,
დარმოშ ხასრა, დარმოშ ხენწირდ,
ლამშავისგა, ლაშდაბისგა!
მარე, დოხთე, ალი ლირდე,
ჩიგარ ამჟი ლგმარელი:
დას ხახუეს შვამიდ ლირდეს,
გართხიშ ლაგამდ ლგმარე ლი!
მარემ გვიშალ, თგმი-წგხი,
ჩულგლფარე ლგმარელი!
ტარხანს ხაჭიმ მგჰი, კუხი,
მუჭედისგა ლგმერე ლი...
აჩად, ლეწვრი ლედგარი ხარ...
ცხარ, დაგრობ დემე ხაკუ!
მარე, ლირდეს მიჩა წეს ხარ,
დემ ჯასყუნე – სი მ ჯაკუ!
ამსვალდს გაჩროქ ქალახჭემნას,
ჩუ დემჟიმოშ აჭკვარიდა!
მარემ დაგრას იმჟი ჩვემნას?!
ნაპვრსი დემის ადგარიდა!
ესხრი ბალიშ ლარალეჟა,
ლეთ ლი ხოჩა, მუჭხვი, ყვედი,
ნანდელითე, ლექვავ, ლეჟავ,
ლახვრე ლისდი გვის ხოტბედი...
ლენჩა ჟიქან ლახვარ ატვრახ,
დეცხენ ნარჰი ხეჭვენიდა,
ხანსრარ ჭალას ლიცარს ხათრახ,
მანგა ჯევქა ხევხენიდა.
მუჟღურ – თვალაშდ ლგფირვანე,
ხოჩილს თე იმ ხეწდენიდა?!
დეც მეფხად ლას ლგსგრკლანე,
ლენჩას დოშდულ ხეწდენიდა...
ჩი ჩუ ხევჟა, ლუქვინ-უქვნას,
ვადდაშ ჰერგარ ხეფხჟენიდა,
ქვინ მეგნეს ი – ქვინიშ უგნას,
ლაშვმინა დრევ ხეჰვდენიდა.
ლეწვრი ხეხვ-ჭაშს შვამიდ ხევჟა,
ჰისტამს ხადდახ სგალგჩდინე...
ექდა ჩ'ადგარ... ლაყვრალეჟა
უშხვარჭ'ესდე – ზისხლგჩდინე!
ჰენწიშ ჩინჩვილ, ლაცვაშ მუქჟი,
მგრდის განხენ სგახაყვნენა,
ახყა ქორთე, მარე, შუკჟი,
უმბლარ, სგა დერ ლახყიმენა!
ჯამშა ხოგან გვამიდ მიჩ,
ი ეჯღა ძალას დემ იზმიდა...
შდიმ მუჭედჟი ჭ'ესდე ჩინჩვილს,
გვიმი ლიტკვეპ დემ ისმიდა!
ჟიხოჭგთხა ლგდგარ ბეფშვილდ,
ბაჟლუსპუნე, ვენდგარ აღრი...
მასტუნ-მაჭკგრშ გვი ხად გვეში,
თხუმჩუ ხევახ დეცელაფრი!
ყვიჟე-პერშვდა ლგშიხ ხადდა,
ლგდგარს ქა დეშ ხესდინიდა!
იშვრალდა ი – აშ იკვცალდა,
გვამ ი მუჭედ ხეცხვფენიდა!
სგაადჰიე მიჩა ქორთე,
ხოლა ბგნაბ ხეყრენიდა,
ვიშკ-ჰილ ხადდა ჟილუჩორთე,
მასტუნ ქა დემ ხეღრენიდა!
ჩუ ედგვანე, ჩ'ედტენტურე,
გეზლაშ გოვარდ ლგფსენ ხადდა,
სოფლარ ხოსდიგხ, ჩულუბჟურე,
მაგ იმბჟალდა, ლასკორს ხაგდა.
ლეთნილადეღ ამჟი ხადდა:
ყაბ ლგწანე, ლგკანჭურე,
ლატმურალს ი ლაგვნის ხაგდა,
ჩარჩი დემეგ ედწაბურე!
მეშხად ესხრიგხ ზავარ მიჩა,
ფიშირ ლადეღ ჩ'ოლბურელი...
მასტუნ ხათმგნ, ქაუჯიჩა,
გვი ჩ'ათკვეშა, ჩ'ოლფგრელი!
ჩულუმჭუხვე, ლეთნილადეღ,
დაგრას ივდივ, ხეთხელიდა!
ეჯ'ლადღუნღო, უწბურა ჩარჩ
ქუთულთეჩუ ხეჰელიდა...
ღერმათ ხოჟრი ჟიმგჰდგრე,
განხენ ხეგნი, ხასარვინე,
ლიჰდგრე ლი – ჟიმუჰდურე,
გვიმი მგლხნე, მგშარდინე!

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორთა საბჭოს წევრის, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის დირექტორის, სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელის, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ზვიად კვიციანის მიმართვა სვანეთის მუზეუმის ოფიციალური გვერდის მომხმარებლებისადმი

მოგესალმებით ძვირფასო მეგობრებო.

პირველ რიგში მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, რომლსაც მოსწონს სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის გვერდი, აქ მიმდინარე კულტურულ-საგანამანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებები, სვანეთის მუზეუმის განვითარება და აქტივობა სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენც ვგრძნობთ თქვენს მხარდაჭერასა და თანადგომას, რაშიც არაფერია არც გასაკვირი და უცნაური (ამ ფაქტით გაკვირვებულნი არიან მხოლოდ ბოტები).

განსაკუთრებულად ძვირფასი ჩვენი კულტურული მემკვიდრეობაა, როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ძეგლები. დიდება უფალს,რომ ამ მხრივ,ჩვენ ძალიან მდიდრები ვართ. სვანეთის მუზეუმი ერთ-ერთი გამორჩეული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, მთელი სვანეთის სიამაყე, სავიზიტო ბარათი, რომელიც ძალზე ღირსეულად ასრულებს თავის ფუნქციას და დიდებულად წარმოაჩენს სვანეთის რეგიონს მთელი თავისი სიდიადითა და უძველესი წარსულით, მუზეუმი ეს არის ჯადოსნური სივრცე, მაკავშირებელი ხიდი წარსულსა და აწმყოს შორის.

სვანეთის მუზეუმში დირექტორად დანიშვნის პირველივე დღეებში მე შევხვდი ადგილობრივ მოსახლეობას და გავაჟღერე, რომ მუზეუმში ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იქნებოდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული მიმართულებების მეტად განვითარება და ამ კუთხით მუზეუმის აქტიურად წარმოჩენა. ამ მიზნის რეალიზაციისათვის მთავარი ძალა ახალგაზრდა თაობა უნდა ყოფილიყო, ამიტომ თანამშრომლებთან პირველივე შეხვედრის ფარგლებში ვითხოვე კიდევაც, თუ იყვნენ ასეთები, დაინტერესებული პირები და ექნებოდათ თამამშრომლობის სურვილი, აუცილებლად შეეხვედრებინათ ჩემთვის. მართლაც, რამდენიმე ასეთი ახალგაზრდა ჩვენ მივიღეთ მუზეუმში, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული გახლავთ ამჟამად სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის ცენტრალური აპარატის უფროსი მარიამ ჯაფარიძე.Mari Jafaridze

ამ უგანათლებულეს, უწესიერეს, პასუხისმგებლიან ახალგაზრდას მე მანამდე არ ვიცნობდი. ვინაიდან სვანეთის მუზეუმს არ ჰქონდა ოფიციალური FACEBOOK გვერდი (რა თქმა უნდა, ეს იყო ძალიან აუცილებელი და არსებითად მნიშვნელოვანი, რადგან ტექნოლოგიებისა და გლობალიზაციის ეპოქაში, არათუ საჯარო დაწესებულებას, არამედ ნებისმიერ ორგანიზაციას აქვს ოფიციალური გვერდი ყველა ციფრულ პლატფორმაზე)

თანამედროვე ტენდენციებისა და გამოწვევების კვალდაკვალ, სწორედ მარიამ ჯაფარიძეს ვთხოვე სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის ოფიციალური გვერდის შექმნა და მისი მართვა.

სვანეთის მუზეუმის ოფიციალური გვერდი უკვე 1 წელია დიდი რუდუნებითა და შესაშური აქტიურობით აშუქებს მუზეუმთან დაკავშირებულ სიახლეებსა თუ ინფორმაციას ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამცნიერო ღონისძიებისა და პროექტის შესახებ, ასევე, ამ გვერდის საშუალებით ხდება არამარტო სვანეთის მუზეუმის საექსპოზიციო და საფონდო კოლექციების გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის, არამედ იგი ღირსეულად წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობასა და უნიკალურ არტეფაქტებს, რაც ნათლად ჩანს გვერდის მომხმარებელთა აქტიურობითა და შეფასებებით.

სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის გვერდის უმთავრეს მიზანს მისი შექმნის დღიდანვე წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის, მეცნიერების, კულტურისა და მათთან დაახლოებული დარგების პოპულარიზაცია, მუზეუმში მიმდინარე აქტიური პროცესების ღიად და გამჭვირვალედ მიწოდება გვერდის მომხმარებელთათვის, მათთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით მაქსიმალურად ოპტიმალურ პერიოდში დახმარების გაწევა, ინფორმირება კონკრეტული საკითხისა თუ არტეფაქტის ირგვლივ.

მეტი სიცხადისთის არსებითად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის ოფიციალური გვერდის აუდიტორიის კიდევ უფრო მეტად გასაზრდელად, ყოველდღიურად ხდება თანამედროვე სტრატეგიის განსაზღვრა/შემუშავება და ახალი იდეების გენერირება მუზეუმის ცნობადობის გაზრდის მიზნით. უფრო მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ გვერდის საშუალებით ხდება ერთგვარი დიალოგი პოტენციურ თუ არსებულ ვიზიტორებთან, მყარდება ვიზუალური კომუნიკაცია გვერდის თითოეულ მომხმარებელთან, ამასთანავე, უფრო მარტივია მუზეუმის კულტურული იდენტობის განსაზღვრა ვიზიტორების აღქმებისა და სურვილების გასათვალისწიებლად.

სვანეთის მუზეუმის გვერდი საჯაროა ნებისმიერი აზრის მქონე ადამიანისთვის, ჩვენთვის მისაღებია ყველა კრიტიკული აზრი, რომელიც არ სცდება ეთიკის ნორმებს და არ აყენებს შეურაცხყოფას კონკრეტულ პირებსა თუ ორგანიზაციას, კულტურულ მემკვიდრეობასა და უნიკალურ არტეფაქტებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სვანეთის მუზეუმის ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის შემცველი პოსტი შესაბამისია დაწესებულების რაობასა და მიზნებთან, გამუქებული სიახლეები მოსწონს საზოგადოებას, ამის დასტური კი გახლავთ ის ციფრები, რომელსაც ვერ გავექცევით- ბოლო თვეების განმავლობაში გვერდი ცნობადი გახდა 750 000 ადამიანისათვის, მართლაც საამაყო და შთამბეჭდავი ციფრია მუდმივი ბრძოლის, დაპირისპირებისა და პერმანენტული ფორსმაჟორული სიტუაციების ფონზე.

სამწუხაროდ, ყოვლად გაუგებარი მიზეზებით, სვანეთის მუზეუმის ოფიციალიური FACEBOOK გვერდის შექმნის პირველი დღეებიდანვე დაიწყო თავდასხმა მუზეუმის ხელმძღვანელობაზე, ადმინზე. მიზეზი კი დღემდე უცნობი და სრულიად ამოუხსნელია ჩვენთვის, გვიკვირდა და გვიკვირს, ამ დონის აგრესია, სიძულვილი, შეურაცხყოფა და მუქარა, რომ იყოს პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებული ნაწილობრივ გასაგები იქნებოდა, მაგრამ ძვირფასო მეგობრებო თქვენ ხედავთ,რომ გვერდი არის საჯარო, გამჭვირვალე და ერთი წლის მანძილზე, არ დადებულა რაიმე სახის შეუსაბამო ან არარელევანტური პოსტი, რასაც შეიძლება გამოეწვია ამ დონის თავდასხმისა და კიბერ-ბულინგის ტალღა.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ სვანეთის მუზეუმის გვერდმა ძალიან კარგი და სასიკეთო საქმე გააკეთა, ის ერთგვარი მატიანეა ჩვენი ისტორიის , კულტურული მემკვიდრეობის და იგი მომავალშიც გააგრძელებს ფუნქციონირებას და რა თქმა უნდა, ეს მარიამ ჯაფარიძის დამსახურებაა. შემიძლია პირდაპირ გითხრათ,რომ არა ის, ჩვენ ვერ შევძლებდით იმ კომპლექსური სამუშაოების ჩატარებას, რაც ამ ხნის განმავლობაში სვანეთის მუზეუმში ფრიად შესაშური წარმატებით განხორციელდა (ჩატარებულ/განხორციელებულ სამუშაოებისა და ღონისძიებების შესახებ, შედგენილია 1500 გვერდიანი ანგარიში).

გამომდინარე იქიდან,რომ ეს ახალგაზრდა გოგო აღმოჩნდა მართლაც საოცრად განათლებული, პასუხისმგებლიანი, ობიექტური, წესიერი, დაუზარელი, სამართლიანი, საქმისადმი უსაზღვროდ შეყვარებული, ის უფრო მაღალ პოზიციაზე - აპარატის უფროსად იქნა გადაყვანილი.

რაც შეეხება ესოდენ განხილვად და ზოგიერთისთვის მეტად სენსიტიურ- გვერდის ადმინთან დაკავშირებულ საკითხს, გვყავს სტაჟიორი, რომელიც სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში უახლოეს პერიოდში დაიკავებს მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციას.

სამწუხაროდ არსებობენ არაადამიანები, რომლებსაც ძნელია მოუძებნო მათთვის შესაბამისი/შესაფერისი სახელწოდება, ისინი სისტემატიურად გესლს ანთხევენ, ღაღადებენ მხოლოდ ბოროტებასა და ლანძღავენ, ღირსებას ულახავენ მუზეუმს,ხელმძღვანელობას,ადმინს. ეს ხდება ყალბი ანგარიშებით. ითხოვენ სვანეთის მუზეუმის გვერდის გაუქმებას . რატომ? ახსნა მარტივია ,იმდენად არ უყვართ ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა, ჩვენი წარსული,არ უნდათ მუზეუმის განვითარება, რომ საკუთარ სახელს ემალებიან და შემოდიან სალანძღავად. სხვა ახსნა ამას არა აქვს.

ძვირფასო მეგობრებო, თქვენც კარგად მოგესხენებათ, რომ გვერდზე იდება სიწმინდეები, ექსპონატები, არტეფაქტები,მათი წარმომავლობა ისტორია და ა.შ და ამ დროს ყალბი დაფარული ანგარიშებით თავს გესხმიან. ვინმე ახსნის ამას სხვაგვარად?

ჩვენ, გვერდის საშუალებით, ჯვრის თაყვანისცემის დღეს, მოგილოცეთ აღნიშნული დღესასწაული და გთხოვეთ, დაგეფიქსირებინათ თქვენი აზრი გვერდთან დაკავშირებით. დიდი მადლობა ყველას, ვინც ობიექტური კომენტარი გააკეთა, თუმცა კვლავ გამორნდნენ პირდაპირ ვიტყვი ზნედაცემული, ყალბი ადამიანები თავისი დაფარული ანგარიშებით და კვლავ ლანძღვა, მუქარა ,შეურაცხყოფა. თითოეული ასეთი ბოროტებით აღსავსე კომენტარით, ილანძღება, ითელება სვანეთის მუზეუმი, გვერდზე განთავსებულ პოსტზე გაკეთებული ნებისმიერი ნეგატიური, უსამართლო და უმიზეზო, ალოგიკური კომენტარი უპირველეს ყოვლისა, სახელს ულახავს, აზიანებს ჩვენს მუზეუმს, მის ღირსებასა და პრესტიჟს. სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი, მისი ადმინისტრაცია გმობს ასეთ საქციელებს, სვანეთის მუზეუმის გვერდი არ არის ფიზიკური პირის პირადი გვერდი და უფრო მეტი დაფიქრება მართებს ყველას.

ხოლო „არარაჲ არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს“ (ლუკა 12:2;3). უფალს ებარებოდეს ყველა ასეთი.

დასასრულს, კვლავ დიდ მადლობას მოგახსენებთ სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის მხარდაჭერისა და გულშემატკივრობისთვის. სვანეთის მუზეუმი მთელი თავისი სიდიადითა და ღირსებით იდგება მოწოდების სიმაღლეზე და კვლავ იქნება მაგალითი, ერთ-ერთი სამაგალითო კულტურულ საგანმანათლებლო, სამეცნიერო დაწესებულება.

პატივისცემითა და კეთილი სურვილებით,
პროფესორი ზვიად კვიციანი

ეროვნული ხელოვნება

ენგურის ხეობას გზა სულ უფრო მაღლა და მაღლა მიუყვება და ზღვის დონიდან დაახ. 1000-დან 1500-მდე მეტრ სიმაღლეზე შესაბამის ლანდშაპტს დაგვიხატავს და კაცის მზერას საუცხოოდ შეეფინება აქაურ ველ-მინდორზე, უმეტესად კი ფერდსა და დახრილზე გაშენებული მთის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი თავისებური არქიტექტურა.

მათ შორის ის, რაც ჩვენს ყურადღებას უპირველეს იპყრობს, არის ძველი სვანური სახლები, მაჩუბები და კოშკები, ასევე ყორეები და სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობები.

ჩვენი დაკვირვებისა და აღნერის განსაკუთრებული ობიექტიც დღეს სწორედ ესენი იქნება, კონკრეტულად კი ძველი სვანური სახლები, ნაშენები, რა თქმა უნდა, ადგილობრიბი, სვანური ქვით, იგივე ფიქალი ქვით, რომელსაც თვითონ სვანები კას ეძახიან.

კათი შენების ხელოვნება და ამ სამშენებლო მასალით სახლების აგება, სამწუხაროდ, უკვე წარსულად იქცა, იმ წარსულად, რომელსაც ან-მყოში კეთილი გულშემატკივარი, ფაქტობრივად, ნაკლებად უჩანს და მომავალიც როგორი უწერია, არავინ იცის...

მოგეხსენებათ, ტექნოლოგიური განვითარება, ადამიანების ყოველდღიურობა თავისი სიახლეებით და ზღვა ცვლილებების ფონზე დროის სწრაფი დინება, ყველა პროფესიის წარმომადგენელს აიძულებს, რაღაც შეცვალოს და თანამედროვეობას მოარგოს. შესაბამისად, ერთი მხრივ, თუ ჩვენ უდავოდ პროგრესს განვიცდით და წინ მივიწევთ, მეორე მხრივ, ვივიწყებთ ძველს და ვკარგავთ წარსულის არაერთ არაჩვეულებრივ გამოცდილებას არაერთი მიმართულებით. მაგალითად, ჩვენი თემიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძველი

სვანური სამშენებლო მასალა ,,კა“ შეცვალა ,,ბლოკმა“, ,,კირი“ შეცვალა ,,ბეტონმა“ და ა.შ.

ჩვენ, ყველამ კარგად ვიცით, თუ რის გამო იქნა ბაგრატის ტაძარი, ჩვენი ზოგადეროვნული სიამაყე, იუნესკოს მიერ ამორებული დაცული ძეგლების სიიდანდა ამაზე აქ ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ ტაძარი ტაძარია, რომ ტაძარი საკულტო დანიშნულებისაა და, რასაკვირველია, გაცილებით უფრო მაღალი შინაარსობრივი დატვირთვისაა, ვიდრე რიგითი საცხოვრებელი სახლი. ტაძარში ირწევა ჩვენი, ამ შემთხვევაში ქრისტიანების, სულიერი შობის, ნათლობის აკვანი- წმინდა ემბაზი...

ალბათ, ამიტომაც, ტაძრები და ეკლესია- მონასტრები, საბედნიეროდ, უფრო მოვლილი გვყავს და მთლად სავალალო მდგომარეობაში არ ვამყოფებთ მათ; ასევე კოშკებიც თავიანთი მომხიბვლელობისა და თვალშისაცემი სიდიადის წყალობით, გასაკვირი აღარაა, რომ ყურადღების მიღმა არ დარჩენია მთავრობებსა თუ ადამიანებს...

მაგრამ სახლები, საცხოვრებელი სახლები?!- აქ მდგომარეობა, გადაუჭარბებლად გეტყვით, რომ სამარცხვინოა!.. - უნიკალური საერო არქიტექტურა, შენების ხელოვნება და ოსტატობა დაშლილ- ჩამოქცეულ ამ სახლთა ჭერ-კედლებთან ერთად ჩვენს თვალწინ დღითიდღე ნავლდება და ნადგურდება. თითო დარზე თუ თითო ავდარზე ისინი დგანან უპატიოდ და უპატრონოდ და თითქმის უწყვეტად აწვიმთ და ათოვთ; ხანგრძლივ ზამთრობით ყინვის წყალი გაუჯდებათ ხოლმე გვერდებში, მერე ზაფხულობით თაკარა მზე აცხუნებთ, მერე ქარი შემოუბერავთ ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან, და უამრავი ,,ცუდი მერე...“ მათ თავებს დატეხილი, ჩვენს გულებს უკვე რახანია საშინლად აღონებს, გამუდმებით სინდისს გვიწრიალებს და საშველად გვიხმობს...

გვესმის რა ჩვენი შეჭირვებული ყოფიერებიდან გამომდინარე რიგი საკითხების მოუგვარებლობა, ხოლო უშუალოდ ამ სახლებთან დაკავშირებით გარკვეული უხერხულობაც, ჩვენი აზრით, განგშის ზარები მაინც შემოსაკვრელია!

ჩვენ, ცხადია, არავის მოვუწოდებთ, რომ მშენებლობისას მაინცდამაინც სვანური ქვა- კა გამოიყენებოდეს, ან საკირეში ცეცხლს ვაგუზგუზებდეთ, მაგრამ მთელი გულით კი ვისურვებდით უკვე არსებული შენობა-ნაგებობების გადაჩენას, რადგან ისინი ნამდვილად წარმოადგენს ქართველი ერის, კერძოდ კი სვანების კულტურულ სიამაყეს, მთელი ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის მეტყველ ძეგლებს.

ისმის კითხვა, ვინ შეიძლება იზრუნოს ამაზე, თუ აქამდე არ უზრუნიათ?! - ეს სახლები კერძო პირებისაა, საოჯახო საკუთრებას წარმოადგენს და მათ კანონიერ თუ უკანონო მფლობელებს, სამწუხაროდ, არც ესმით კარგად, რომ ისინი ამავდროულად უკვე ეროვნული მნიშვნელობის მქონე უნიკალური ნაგებობებია...თავის მხრივ, ვერც სახელმწიფომ შეხედა მათ ამ თვალითვფიქრობთ, გამორჩათ მხედველობიდან ამ ნაგებობების ესთეტიკური მხარე და კულტურულ-ისტორიული ღირებულება და ამასობაში ის, რომ ,,აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა“, გაისმის სრულიად ამაოდ...

- გამოსავალი?!,,თუ გული გულობსო“...ნათქვამია და დანარჩენი თქვენთვისაც მოგვინდია პატივცემული მკითხველო.

სხვათაშორის, იგივე მდგომარეობაა ქართლ-კახეთის ქვითკირით ნაგებ სახლებთან და დასავლეთ საქართველოს ოდებთან დაკავშირებითაც. ეს უკანასკნელი თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში მაინც არის დაცული, მაგრამ ქვაზე შენების ხელოვნება ტექნიკური სირთულეებიდან და დიდი ხარჯებიდან გამომდინარე ამასაც თითქოს შეუძლებელს ხდის ჯერჯერობით.

მომავლისათვის, ვიმედოვნებთ, შევიმუშავებთ ხედვას და დავწერთ პროექტს, რომელიც, რა თქმა უნდა, წინასწარ არ ვიცით , რა შედეგების მომტანი იქნება, მაგრამ ქმედითი ნაბიჯების გადასადგმელად სიტყვა მაინც გვექნება ნათქვამი ჩვენი აწმყოსა და მომავლის წინაშე გამომდინარე ჩვენივე წარსულიდან.

სსიპ სოფ.იფარის საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, ირმა ივანიაძე

„გახდი მედიაწიგნიერი“

მესტიის მუნიციპალიტეტის ფარის საჯარო სკოლა, მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლებს იწვევს პროექტში „ გახდი მედიაწიგნიერი“ მონაწილეობის მისაღებად.

პროექტის მიზანია:

მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებში მედიაწიგნიერების კრიტიკული აზროვნების, კვლევისა და შეფასების უნარების განვითარების ხელშეწყობა.

პროექტის ამოცანებია:

მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის თანატოლთა განმანათლებლობის პრაქტიკის გაღრმავება.

ქსელური პროექტის განხორციელება

მედიაწიგნიერების კლუბების შექმნა.

6 კვრიანი სასწავლო ონლაინ კურსის ჩატარება.

კონკურსის „ყველაზე მედიაწიგნიერი კლუბის„ გამოცხადება და საუკეთესო მედიაწიგნიერი გუნდის გამოვლენა.

პროექტის აღწერა: პროექტი ორი კომპონენტისგან შედგება,სასწავლო და პრაქტიკული.

სკოლები დაარეგისტრირებენ 8-10 კაციან გუნდს,შექმნიან მედია წიგნიერების კლუბს,შეარჩევენ გუნდის ლიდერ 3-4 მოსწავლეს,რომლებიც 4 კვირის განმავლობაში გაივლიან ტრენინგს ციფრულ მოქალაქეობაზე, კერძოდ, „ხელოვნური ინტელექტი და web 2.0 ინსტრუმენტები“ ; „კიბერ უსაფრთხოება„; „კიბერ ბულინგი“ „დეზინფორმაცია და კრიტიკული აზროვნება„; „ ებრძოლე ყალბ ინფორმაციას“.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გუნდის ლიდერები მათთვის წინასწარ გადაცემული ტრენინგ-მოდულებით ჩაატარებენ სკოლაში სასწავლო ტრენინგებს და პრაქტიკულ აქტივობებს.

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ 2023 წლის 20 მაისს,ფარის საჯარო სკოლაში გაიმართება კონკურსი თემაზე: “ ყველაზე მედიაწიგნიერი კლუბი“.

თითოეული სკოლის მედიაწიგნიერების კლუბი, კონკურსისთვის შეარჩევს 4 კაციან გუნდს.

კონკურსი სამი რაუნდისაგან შედგება,მონაწილე გუნდებს გადაეცემათ სიტუაციური ამოცანები,მათი ამოცანაა,ამოიცნონ ყალბი ინფორმაცია და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე იმსჯელონ როგორ მივიდნენ მიღებულ შედეგამდე.

გაივლიან ტესტირების ეტაპს. მონაწილეების ნამუშევრებს შეამოწმებენ კომპეტენტური ჟიურის წევრები.

საუკეთესო შედეგების მქონე გუნდები გადანაწილდება I,II,III ადგილებზე.

საუკეთესო გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით და სერტიფიკატებით.

იდეის ავტორები: ფარის საჯარო სკოლის მე-10-11 კლასის კონკურსის „ციფრული მოქალაქეობა სკოლებში“ გამარჯვებული მოსწავლეები, ნიკა სუბელიანი,ზური რეზესიძე,დავით ვიბლიანი.

ხელმძღვანელი პედაგოგი: ეკა წულუკიძე.

პროექტის განხორციელების თარიღი:

რეგისტრაცია 29.03- 10.04.2023

სარეგისტრაციო ბმული:

https://forms.gle/YQKReLqKYdrczSfq6

საინფორმაციო შეხვედრა დაინტერესებულ სკოლებთან: 12.04.2023

სასწავლო ტრენინგები და აქტივობები:

12.04-3.05.2023 წ

დასკვნით შემაჯამებელი ღონისძიება: 20 .05.2023წ

მადლობის წერილი



ვცხოვრობ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარში, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება შევალიე შრომას. ვაწარმოებ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და მესაქონლეობას, რათა ნატურალური პროდუქტით უზრუნველვყო მოსახლეობა, სასტუმროები თუ მაღაზიები.

ხშირად მიწევს ასვლა მესტიაში და მძიმე ჩანთების ზიდვა. ცოტა ჯანმრთელობის პრობლემებმაც იჩინა თავი. ჩემს უკან მომავალმა გოგონამ ალბათ შემამჩნია რომ ტვირთი მემძიმა და წავბარბაცდი. დამეწია, მკითხა ცუდად ხომ არ ხართო, გამომართვა ჩანთა, გამაცილა საავადმყოფომდე, დაელოდა ექიმების პასუხს და შემდეგ უკანაც გამომაცილა დანიშნულ ადგილამდე.

გული სითბოთი ამევსო. არასოდეს დამავიწყდება მისი ლამაზი სახე და მზრუნველი თვალები. ნეტავ ბევრი ასეთი ყურადღებიანი ბავშვი იზრდებოდეს მთელ სამყაროში.

ეს გოგონა მესტიის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ გაბრიჭიძე გახლდათ.

მადლობა მის მშობლებს. მადლობა მარიამს.

ბედნიერი მომავალი მიმადლოს უფალმა.

პატივისცემით, ჩარა(დალი) მილდიანი

გავუღამაზოთ სამყარო და გავუფერადოთ ცხოვრება ბავშვებს

,,თუ გადავხედავთ ჩვენს ცხოვრებას,ძირითადად ის წუთები გვახსოვს, ღრმა ბავშვობიდან ,რამაც ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა, ლაღი და სიხარულით გაჯერებული ბავშვობა ,აუცილებლად უკავშირდება ფერად სასრიალოებს, საქანელებს, აიწონა დაიწონას და ასე შემდეგ, სუფთა ჰაერზე, ჯანსაღი აქტივობები, რასაც ბავშვობის ჯადოსნური სურნელი ასდის, დიახ! თამაში ის აქტივობაა ,რაც ბავშვებს ფერადი სამყაროს კარს უღებს ,სადაც მუდმივად სიხარული და ღიმილი მეფობს, თუმცა არსებობეს ამ სიხარულს მოკლებული ბავშვები ,ვისთვისაც ეს ყოველივე ბავშვობის განუყოფელი ნაწილი არ არის, არამედ სევდადაქცეული ოცნება.

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ წვირმიში, რომელიც მესტიიდან 18 კილომეტრში მდებარეობს, პაწაწინა ბაღი დგას, სადაც მხიარული, ლაღი და ცნობისმოყვარე აღსაზრდელები, ყოველ მისვლაზე ერთმანეთს ეკითხებიან; ,,საქანელები და სასრიალოები ხომ არ მოუტანიათ? '' უარყოფით პასუხზე, მათი სიხარულით გაბადრულ სახეს სევდა ეპარება , თუმცა იმედს მაინც იტოვებენ ,,ალბათ მალე გვექნება", როგორც კი იჯერებენ , რომ მალე ექნებათ ნანატრი ინვენტარი ისევ მხიარულად აგრძელებენ თამაშს და თვალები სიხარულით უციმციმებთ.

პროექტის მიზანია წვირმის ბაღის აღსაზრდელებისთვის ეზოს სათამაშოების შეძენა, რათა ბავშვები ჯანსაღი და უსაფრთხო აქტივობებით დაკავდნენ.ჩვენ შეგვიძლია მათი ოცნება მათ ყოველდღიურობად ვაქციოთ.

ჩვენს ეპოქაში ბავშვები სასრიალოებზე არ უნდა ოცნებობდნენ, ერთად გავუფეროდოთ სამაყარო წვირმიში მცხოვრებ პატარებს,უფრო ლაღი და ბედნიერი ხვალინდელი დღისთვის".

სოფიო ქუხილავა

სოფიო ქუხილავა წვირმის საჯარო სკოლის ინლისური ენის მასწავლებელი, სათემო აქივისტთა კლუბის ,,ახალაზრდები მომავლისთვის " დამფუძვნებელი, ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრი.

იდეის ავტორი

სიფიო ქუხილავა

ღია წერილი ქართველ მეცნიერებს და ყველა იმ პირს, ვინც დაინტერესებულია პროტოკავკასიური ანბანით და ენით

დიდად პატივცემულო მეცნიერებო, რამდენიმე თქვენგანთან პირადი შეხვედრებისა თუ სატელეფონო საუბრების შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ მიუხედავად ჩვენ მიერ ჩატარებული სხვადასხვა შეხვედრებისა საზოგადოებასთან, პროტოკავკასიური ანბანისა და ენის შესახებ ჩვენი მხრიდან საჭირო ყოფილა ფართომასშტაბიანი ახსნა-განმარტებების წარმოდგენა.

ამთავითვე გვინდა, ხაზი გავუსვათ უშუალოდ თქვენს დამსახურებას სვანური, მეგრული, ზანური და ქართლური ენების კვლევის საქმეში და დაგიდასტუროთ ჩვენი პატივისცემა თქვენდამი.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი კვლევის შესახებ არ გაქვთ სრული ინფორმაცია, ვეცდებით ავხსნათ ის რეალობა, რასთანაც ჩვენ გვაქვს საქმე, კერძოდ:

ა) აღმოჩენილია პროტოკავკასიური (წინარე სვანური) ანბანი და დამწერლობა;

ბ) აღმოჩენილია ამ ანბანით შესრულებული ჩვენი წელთაღრიცხვით I და XII საუკუნის ტექსტები, ასევე ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIII, XVII და უფრო ადრინდელი ტექსტები.

გ) ამ ახლადაღმოჩენილი ანბანის ასო-ბგერათა რაოდენობა შეადგენს 45-ს;

დ) ტექსტები შესრულებულია ტყავზე, სპილენძის ფირფიტაზე და ქვაზე.

ე) ტექსტების თემა არის რელიგიური, განმათავისუფლებელი ხასიათის, ბრძოლის ამსახველი, შავ ზღვაზე წარღვნის ფაქტობრივი მოვლენების განვითარების მაუწყებელი და ა.შ.

ვ) ანბანი განვითარების, გრაფიკული მოხაზულობის მიხედვით (ანუ სხვადასხვა საუკუნეში სხვადასხვა გრაფიკულ ფორმას რომ იღებდა) იყოფა 7 კატეგორიად. პირველი კატეგორია არის სრული ხაზოვანი, ხოლო ბოლო - მრგვლოვანი, რომლის გაგრძელებასაც ასომთავრული წარმოადგენს.

ზ) მსოფლიოში არსებულ (ხმოვნისა და თანხმოვნის შემცველ) ანბანთა შედარებისას იკვეთება დიდი მსგავსება ერთმანეთს შორის (იგულისხმება გრაფიკული მოხაზულობა). პროტოკავკასიური ანბანთან ყველაზე ახლოს დგას ქანაანური, ფინიკიური, ძველი იბერიული, ძველი ბერძნული და სხვა ანბანები.

თქვენ იცით, რომ ჩვენი საამაყო მეცნიერები (ი. ჯავახიშვილი, ნ. მარი, გ. წერეთელი, ალ. ცაგარელი, აკ. შანიძე, ვ. თოფურია, არ. ჩიქობავა, ზ. ჭუმბურიძე, ზ. პატარიძე, ალ. ქალდანი, ა. ონიანი, ზ. ქაფიანიძე, თ. მიჩბუანი, ელ. მეტრეველი, თ. გამყრელიძე და კიდევ მრავალი სხვა ავტორი (შენდობას ვითხოვთ, ვინც ვერ დავასახელეთ), რომ იტყვიან, „სანთლით დაეძებდნენ“ ასომთავრულის წინარე ანბანს? მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ამის გაცნობის საშუალება არ მიეცათ, იძულებული იყვნენ, დაეჯერებინათ ის ვერსიები, რომ სვანური ანბანი თითქოსდა ბერძნულისგან, ფინიკიურისგან, არამეულისგან, სომხურისგან და ა.შ. წარმოიქმნა და რაოდენ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ახდა მათი ოცნება იმის შესახებ, რომ აღმოჩნდა წინარე სვანური ანბანი და დამწერლობა, რომელიც არა თუ სხვათა ანბანთაგან არის ნასესხები, არამედ პირიქით, ამ ანბანისგან უნდა იყოს ისინი წარმოქმნილი. რაც უფრო მეტ ტექსტს ვსწავლობთ და ვშიფრავთ, მით უფრო ვრწმუნდებით ამ ჭეშმარიტებაში. ამდენად, ჩვენ საქმე გვაქვს სრულიად ახალ ფენომენთან, რასაც ჩვენ პროტოკავკასიური ანბანს და ტექსტებს ვუწოდებთ.

აქვე გვინდა, ჩაგაყენოთ საქმის კურსში, რომ ამ 45 ასო-ბგერიდან 38 ასო არის ძირითადი, ხოლო 7 (წყვილი) არის სვანური საგალობლების ტექსტების ახსნის გასაღები, რაც ასევე სიახლეა ანბანთა ისტორიაში.

წარმოდგენილი ტექსტები იკითხება არქაული სვანური ენით და, თუ მკვლევარმა არ იცის ძველი ქართული, ძველი მეგრული და, განსაკუთრებით, არქაული სვანური, ტექსტების წაკითხვა შეუძლებელი ხდება. აქედან გამომდინარე, აშკარად ჩანს ამ სამივე ენის ერთი ფუძიდან წარმომავლობა.

მთლიანობაში კვლევამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ წინარე ქრისტიანულ ხანაში ამ ენაზე მოლაპარაკე ტომების (ხალხების) განსახლების ადგილები ყოფილა კავკასია, წინააზია, შუამდინარეთი, ევროპა და, ვფიქრობთ, ამერიკაც (ამის ნიშნები იკვეთება).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ თითოეული ჭეშმარიტი ქართველი მეცნიერისთვის და, მითუმეტეს, ლინგვისტისთვის სასიხარულო უნდა იყოს ამ ახალი მიგნების ფაქტი. ჩვენ კარგად გვესმის საბჭოთა პერიოდის ქართველი მეცნიერების მოღვაწეობის მიმართულება, მითუმეტეს, ფილოლოგიის განხრით, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ არ ჰქონდათ ხელმისაწვდომობა ყოველივე იმასთან, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

დამპყრობელი ყველანაირად ცდილობდა, არ გაეგო სიმართლე ქართველ ხალხს.

ცნობილი ფაქტია, რომ 1920-იან წლებში კრასნოდარის მხარეში რუსებმა მთელი ვაგონი, სამი ათასზე მეტი ქართული დოკუმენტი დაწვეს, რომელთა წარმომავლობა ძირითადად წინარე ქრისტიაული ეპოქა იყო. რომ არა პოლკოვნიკ ქრისტეფორე ჩხეტიანის თავგანწირვა (ღმერთმა აცხონოს მისი სული), ჩვენს ხელთ არსებული ტექტების უმრავლესობა არ გვექნებოდა. რუსებმა (როგორც მეფის დროინდელმა, ასევე ე.წ. მენშევიკებმა და ბოლშევიკებმა) განსაკუთრებით სვანეთის საცავები და ეკლესიები გაძარცვეს, რომელთა მთავარი მიზანი პროტოკავკასიური ანბანისა და ტექსტების გაქრობა ყოფილა. ყოველივე ამას აკეთებდნენ მალულად. კომუნისტური პროპაგანდა კი, რომელზედაც გაიზარდა ჩვენი და თქვენი თაობა, სულ სხვა იდეოლოგიას გვინერგავდა. მათი მცდელობა და მარადიული ოცნება იყო, ამოეშთოთ ყოველივე არა რუსული (მაშინ, როდესაც რუსული ანბანი და დამწერლობა მხოლოდ მე-10 საუკუნიდან იწყება და ისიც მტკიცდება, რომ მათი ანბანი, როგორც „კირილიცა“, ასევე „გლაგოლიცა“ ძირითადად ივერიელ ბერებმა (რომელთაც იცოდნენ პროტოკავკასიური ანბანი) შეუქმნეს.

რაც შეეხება სვანური ან მეგრული ენების ოფიციალურად სწავლებას, მიგვაჩნია, რომ ეს აუცილებელია და რატომ? დღეს სვანური და მეგრული ენებით მოლაპარაკე ადამიანების რიცხვი კატასტროფულად არის შემცირებული (განსაკუთრებით ეს ეხება სვანურს). ისეთი დრო მოვიდა, რომ სვანეთის სკოლებში ბავშვებმა სვანური ენა ან საერთოდ არ იციან, ანდა მხოლოდ საყველპუროდ, რაც, ვფიქრობთ, რომ როგორც მშობლების, ასევე საზოგადოების (განსაკურებით, ამ დარგის მეცნიერების) და მთავრობის დანაშაულია. იუნესკომ გამოგვიცხადა, რომ 50 წლის შემდგომ ამ ენებზე მოლაპარაკე ადამიანები ფიზიკურად არ იქნებიან. არის თუ არა ეს ფაქტი საგანგაშო? რატომ ეწინააღმდეგება ქართული საზოგადოების ნაწილი სვანური და მეგრული ენების სწავლებას? ნუთუ, ისევ რუსული შოვინიზმი მძლავრობს? მაშინ, როდესაც სწორედ ამ (პროტოკავკასიური) ენით უნდა დავუმტკიცოთ მთელ მსოფლიოს, რომ ცივილიზაციის პირველი აკვანი აქ, კავკასიაში, წინააზიაში, შუამდინარეთში მცხოვრებ პროტოკავკასიელებს შორის დაირწა და სხვა დანარჩენი მხოლოდ მისგან გამომდინარე იყო.

ჩვენ ვსვამთ მარტივ კითხვას: არის თუ არა საჭირო და ღირსი, რომ ამ ახალი ფენომენის აღმოჩენა, სულ მცირე, გახდეს საღი მეცნიერული მსჯელობის საგანი? ჩვენ უმრავლეს ფილოლოგებს, ისტორიკოსებს და ნებისმიერ მსურველს გავუგზავნეთ ანბანი და ტექტები იმ თხოვნით, რომ ყოველივე ამის შესახებ მათი აზრი ყოფილიყო ცნობილი. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის აგვისტოში მესტიაში ჩატარდა კავკასიოლოგთა მაღალ დონეზე ორგანიზებული კონგრესი, სადაც ერთ-ერთ საკვანძო თემად ეს აღმოჩენა იქნა გამოტანილი, რამაც დამსწრე საზოგადოების დიდი აღტაცება გამოიწვია. გარდა ამისა, ეს თემა გავრცელდა ინტერნეტსივრცეში, სადაც შეიძლება ითქვას, დღემდე არ ცხრება კამათი და, რაოდენ გასაკვირია, რომ ის პროფესიონალი მეცნიერები, რომლებიც წესით, დიდი ქართველი მამულიშვილების ტრადიციებზე აღიზარდნენ, ფაქტობრივად, დუმილს ამჯობინებენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მათთვის თითქოსდა მიუღებელია, არადა, ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ ზურაბ ქაფიანიძე, ზურაბ პატარიძე, ელენე მეტრეველი, თვით ივანე ჯავახიშვილი და სხვები და სხვები, რა თქმა უნდა, მათთვის ეს აღმოჩენა უდიდესი დღესასწაული იქნებოდა. მთელ საქართველოს ფეხით შემოივლიდნენ და იმ სვან „განდობილთა„(ფუსტები) ნაფეხურებს დაკოცნიდნენ, ვინც ყოველივე ეს დღემდე მოგვიტანა. იქნებ, დავფიქრდეთ ყოველივე ამაზე!

ჩვენ გვიწვევენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიები, რომელთაც, ჩვენდა სამწუხაროდ, უფრო სწორად გაიგეს ამ აღმოჩენის მნიშვნელობა.

და ბოლოს, ალბათ იკითხავთ, ვინ ვართ ჩვენ? რაზედაც პასუხი მარტივია: ჩვენ ვართ ჯგუფი, რომელთაც თავის დროზე, ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში, გვასწავლიდნენ სიბრძნის იმ აუცილებელ მინიმუმს, რაც საჭიროდ მიაჩნდათ, მიუხედავად იმისა, რომ დიდობაში სხვადასხვა სწავლებები გავიარეთ, სხვადასხვა სპეციალობები ავითვისეთ, მთავარი მაინც ის სიბრძნე იყო, რასაც სვანეთში, სამეგრელოში და ქართლში გვასწავლიდნენ. ცხადია, ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი უპირატესობა სამივე ენის და ტრადიციების პატივისცემა და ცოდნაა, თუმცა გადამწყვეტი მაინც იმ დიდი სიბრძნის ათვისებაა, რაც ჩვენმა წინაპრებმა დღემდე მოგვიტანეს.

ჩვენ ღია ვართ ნებისმიერი მსურველისთვის. ათეული წლებია, ვმუშაობთ თავდავიწყებამდე და ეს შემთხვევითი არ არის. ის დიდი სიბრძნე, რაც ჩვენმა წინაპრებმა გადმოგვცეს (და არა მარტო ლინგვისტიკაში), გვატყობინებს, რომ ოცდამეერთე საუკუნეში კაცობრიობას დიდი საფრთხე და განსაცდელი ემუქრება და, თუ დროზე გონს არ მოვეგეთ, სამწუხაროდ (ღმერთმა ნუ ქნას), „სოდომი და გომორი“ განმეორდება. მზის გალაქტიკაში დედამიწა აჩქარებული ტემპით მოძრაობს, დრო სწრაფად გარბის. ატომური ომი კარზეა მომდგარი. იქნებ, თავი დავანებოთ უზნეობას და ამპარტავნობას, დაპირისპირებას და ყველამ ერთხმად ვითხოვოთ შენდობა დედამიწაზე კაცობრიობის მიერ ჩადენილი ცოდვების გამო.

პატივისცემით,

ტექ. მეცნ. დოქტორი მირონ ფირცხელანი
ტექ. მეცნ. კანდიდატი ოთარ ჩხეტიანი

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი, ნინო ნაკანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორში“

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45
ირმა ჯაჭვლიანი
ელ. ფოსტა:
Irma–ushba@yahoo. com